საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

FACULTY OF LAW

№ 3711/3105 „03" 11 2016

დეკანის ბრძანება

№ 5

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით

„უმაღლესი განათლების" შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/6 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის 1 ივნისის №229-ე დადგენილების „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ" პირველი პუნქტის დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ჩასატარებლად გამოცხადდეს კონკურსი და შეიქმნას საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   1. თევდორე ნინიძე – (თავმჯდომარე);
   2. ეკა სირაძე – (წევრი);
   3. დავით ბოსტოღანაშვილი – მდივანი.

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 16 დეკემბერს, 15:00 სთ-დან 17:00 საათამდე.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179 თბილისი, საქართველო
3, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.law.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 37 10 Tel.
ფაქსი: +(995 32) 222 37 10 Fax
ელ.ფოსტა: law@tsu.ge; E-mai

3. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 5 – 9 დეკემბერი.
4. დარეგისტრირების მსურველმა საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
   - განცხადება;
   - საინიციატივო ჯგუფის (სადისერტაციო საბჭოს 3 წევრის) წარდგინება კანდიდატად დასახელებაზე;
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - CV .
5. საბუთების მიღება იწარმოებს იურიდიული ფაკულტეტის კანცელარიაში (თსუ II კორპ. I სართ. ოთახი №117).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება განთავსდეს იურიდიული ფაკულტეტის ვებ-გვერდზე;
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს.

ირაკლი ბურდული

დეკანი,

პროფესორი

იურიდიული ფაკულტეტი FACULTY OF LAW